

განმარტებითი ბარათი

კანონპროექტზე „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განპირობებულია ერთდროულად რამდენიმე გარემოების არსებობით. კანონპროექტის შემუშავების ერთ-ერთ ყველაზე მთავარ გარემოებას წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებების ე.წ. „ტექნიკური დათვალიერებების“ (გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების) ვადის გაგრძელების საკითხი. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, 2007 წლის 1 იანვრამდე შექერებულია ავტოსატრანსპორტო საშუალების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების გავლა (გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა). აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებული იქნება გზისთვის ვარგისობის ტესტირებაზე გაატაროს საკუთარი ავტომანქანა, რაც დაკავშირებული იქნება მოსახლეობის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაღებასთან და მათი პირობების გაუარესებასთან. აღნიშნული პროექტის შემუშავების მიზეზს წარმოადგენს აგრეთვე „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია 2009 წლის 1 იანვრამდე ავტოსატრანსპორტო საშუალებების (კანონით გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა) გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ვადის გაგრძელება და კანონში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი ითვალისწინებს „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში შემდეგი სახის ცვლილებების შეტანას:

ა) ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით, 2009 წლის 1 იანვრამდე გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდულ ტესტირებას დეკემბერისა და იანვრის სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიცაა ხორციელდება „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-18 და მე-19 პუნქტებით გათვალისწინებული გადაყვანა/გადაზიდვები და ის სატრანსპორტო საშუალებები, რომელთაც 3 ტონა და მეტი ტვირთამწეობა გააჩნია;

ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მიმართ წაყენებული ტექნიკური მოთხოვნები, ტესტირების ფირნიშების ფორმა და მათი წარმოების წესი, აგრეთვე სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალების ტესტირების (გამოცდის) პერიოდულობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციასთან შეთანხმებით განისაზღვრება საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ნორმატიული აქტით;

გ) პროექტი ითვალისწინებს ტესტირების (საგამოცდო) ცენტრებსა და საპატრულო პოლიციას შორის ინფორმაციის გაცვლის მარეგულირებელი ნორმების შემოღებას;

დ) ახლებურად წესრიგდება ამ კანონით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღების/გამოცემის ვადები;

ე) 2007 წლის 1 იანვრამდე ტესტირების (საგამოცდო) ცენტრის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების გზისთვის ვარგისობაზე გაცემული დოკუმენტის საფუძველზე, ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკურად გამართულობის დამადასტურებელ ფირნიშს გასცემს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიცია;

ვ) მინების დამუქებისთან დაკავშირებული აკრძალვის ამოღებას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

წარმოდგენილი კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღებით გამოწვეული არ იქნება ფინანსური ცვლილებები ან მდგომარეობის გაუარესება იმ პირობით, რომლებზეც ეს კანონპროექტი ვრცელდება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე ახალ გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდა აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს წარმომადგენლები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი.